ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №50

(მომსახურების შესყიდვა)

შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„ 02 დეკემბერი 2016 წელი

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„ (შემდეგში „შემკვეთი„) დირექტორი ბადრი ასათიანის სახით, მეორეს მხრივ - ი/მ „ალმისტერ ნემსაძე„ (შემდგომში „შემსრულებელი„) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - ავტობუსის შეკეთება.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – **50100000** - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობებისა შეკეთება, ტექნიკური მომსახურება.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - **50113000** - **ავტობუსის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.** (იხ. დანართი №1).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს -45.00 **(ორმოცდახუთ) ლარს,** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს დამკვეთის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ინვოისი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება შემკვეთის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.2 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი"
შ.პ.ს.„ფოთიქალაქტრანსპორტი„

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE 29LB0115113951829000
ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215131569

დირექტორი:
ბადრი ასათიანი

„შემსრულებელი"

ი/მ „ალმისტერ ნემსაძე„
მის: ქ.ფოთი ლარნაკას ქ.#17

ს/კ 42001001525

ს.ს „ბანკი რესპუბლიკა„
ბანკის კოდი: RERLGE22

ა/ა GE95BR0000010349898709

ი/მ „ალმისტერ ნემსაძე"

დანართი #1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

კატეგორია	საქონლის დასახელება	განზომილება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება ლარებში	
50113000	კომპრესორზე სალნიკის შეცვლა			45.00	45.00	
	ჯამი:				45.00	

„დამკვეთი"
შ.პ.ს.„ფოთიქალაქტრანსპორტი„

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE 29LB0115113951829000
ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215131569

დირექტორი:
ბადრი ასათიანი

„შემსრულებელი"

ი/მ „ალმისტერ ნემსაძე„
მის: ქ.ფოთი ლარნაკას ქ.#17

ს/კ 42001001525

ს.ს „ბანკი რესპუბლიკა„
ბანკის კოდი: RERLGE22

ა/ა GE95BR0000010349898709

ი/მ „ალმისტერ ნემსაძე"